

# რუსთავში საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა განახლებული ტექნიკით მოხდება



რუსთავის მერია, მუნიციპალური სერვისების ახალი სტანდარტების დანერგვის მიზნით, „რუსთავსერვის ცენტრის“ დასუფთავების სამსახურის რეფორმას ახორციელებს.

სერვისის გასაუმჯობესებლად მერიამ უკვე შეიძინა 7 ერთეული ევრო 5-ის სტანდარტის საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამზიდი მანქანა და ორი ერთეული სპეცტექნიკა.

ახალი მანქანებისა და სპეცტექნიკის პრეზენტაციაზე, რუსთავის მერმა ნინო დაცაბიძემ, რეფორმის ფარგლებში განხორციელებულ სიახლეებზე ისაუბრა. პრეზენტაციას ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი დობტურიშვილი და რუსთავის საკრებულოს დეპუტატები ესწრებოდნენ.

როგორც ნინო დაცაბიძემ განაცხადა, „რუსთავსერვის ცენტრი“ ქარაქის დასუფთავებასა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას, განახლებული ტექნიკითა და თანამედროვე სტანდარტებით უზრუნველყოფს.

*„დღეს წარმოვადგინეთ ის ახალი ტექნიკა და აღჭურვილობა, რომლითაც ჩვენს თანამშრომლებს მოემსახურებიან ქარაქს. ჩვენ შევძლებთ, რომ რუსთავი იყოს უფრო დასუფთავებული და მოვლილი. რაც ყველაზე მთავარია, ჩვენ ასევე ვზრუნავთ თანამშრომლების მოტივაციაზე, მათ 1 იანვრიდან მნიშვნელოვნად გაეზრდებათ*

*ხეღუასები, შევუძინეთ ახალი სპექტანსაცმედი. ეს არის რეფორმის პირველი ეტაპი, რა თქმა უნდა მოვემზადებით იმისთვის, რომ ეტაპობრივად დავიწყოთ ნარჩენების სეპარირება. პირველ ეტაპზე ეს მოხდება ახდადრეაბიტირებულ სკვერებში სადაც უკვე არის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. გამომდინარე იქედან, რომ ქარაქის დაბინძურება და ეკოლოგია სენსიტიური თემაა, ვფიქრობთ, რომ ამ კუთხით დასუფთავების მიდგომები იქნება ძალიან სწორი და დროული“, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ნინო დაცაბიძემ.*

როგორც ქარაქის მერმა აღნიშნა, მუნიციპალური სერვისის რეფორმის პირველი ეტაპის შედეგი, ბიუჯეტის ნაკლები დანახარჯი და უფრო სუფთა ქარაქი იქნება.